ამ დროისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედი გერმანული არმიის, თითქმის ყოველ დივიზიას ჰყავდა ყოფილ ტყვეთაგან შეედგარი ჯგუფები, რომლებსაც იყენებდნენ მტრის ზურგში გადასასროლად, მ. კედიამ განიზრახა და კიდევაც მოახერხა ამ ჯგუფების ერთ ორგანიზაციასთან თავმოყრა. ამ წამოწყებას გერმანელებმა "ცეპელინი" დაარქვეს. ეს იყო დიდი მიღწევა, რადგან ამით ქართველებს თუ კონტროლი არა, მეთვალყურეობა მაინც შეეძლოთ და ქართველების უაზრო მსხვერპლის თავიდან აშორება. ცხადია მასვე დაუჭერს მისი დასახელების ომიმართლებით მენაღარაშვილი და კავკასიაში მოქმედი ილ. ასათიანი.

ორივე ჯგუფის საგრონობი მიღწევა ჰქონდა, მავარამ სტალინგრადის მარცხის შემდეგ, ამ მოქმედებამ ყოველი პრაქტიკული მიზნებლობა დაკარგა. დასაწყისში, მ. კედიას მიეცა საშუალება თურქეთში ემოჯახნ, ვინაიდან თურქულ დინტირესებულ წრეებს და მათი საშუალებით თურქეთში მყოფ სხვადასხვა ორგანიზაციებს აღუხსნა გერმანიაში მოქმედ ქართველების მიზანი და პოზიცია.

საქართველოში გავაზენი ინსტრუქციების თანახმად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ანქარბულიყვნენ და ეს გეგმა სისრულეში უნდა მოეყვანათ, მხოლოდ თუ გერმანელები ქართულ მიწაზე იყვნ და დაგდამდნ. ასეთი კავშირების გაბმა მ. კედიას მხოლოდ გერმანული დაზვერვის საშუალებით შეეძლო და ამიტომ წავიდა ასეთი კომიარომისზე. ცეპელინის მთავარი ინტირესი ომისათვის საქორი ცნობათა მიღება იყო და ეს ქართული ინტირესებისაგან სრულად განსხვავდებოდა, მავარამ სამაგალიდო, ამის საშუალებით კედელბოდა მეორე, ქართულ-პატრიოტული საქმე. ისტორიაში მსგავსი მაგალითები მრავალდ მოიპოვება.საბ. პრაობანდისტები, ჩეულებიზი უტფრობით, ქართველ ემიგრანტებს უხეხობის აგენტებს უწოდებენ. გვირდა მათ მიუთხოვთ, რომ "დიღმა", ლენინმაც გამოიყენა "ემპერილისტურ" გერმანიის დაზვერვა და მათი დახმარებით, იგი დააქუტუ ვაგონით და ოქროთი დატვირთული, შეეციარინიდან ფინეთზე ვაგონით, რუსეთში შეაბარეს-რევოლუციის მოსაწყობად.

1943 წლის ოქტომბერში, როცა მ. კედიამ ქართული შტაბის პოლიტიკური განყოფილება უფროსობა იკისრა, მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ გერმანელები ომს ვეღარ მოიგებდნ. მიუხედავად ამისა, მან მისთვის ჩეულები თავდადებით განაგრძო საქორი მუშაობა. დიქტიატორის ხელში მოქცეული, ტოტალიტარულ იმში ჩარეული ასეთ დიდ ხანებლწიფოს დაწვევას ბევრი მსხვერპლი ეწირებოდა, ხოლო ვანსილელში ჩავარდნილი ზოგი ადამიანი თავის დასახსნელად, არაჩეულებრივ საქციელს მიმართავს ხოლმე. ამის გამო მ. კედიას დიდი დრო დაენერგია ეხარჯებოდა-ქართველების ვადასარჩენად. იგი ვანურიკელად იყავდა თავის მეგობრებს, თუ მოწინააღმდეგე, იგი იცავდა ყოველ ქართველს თუ კავკასიელს მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა, წარსულისა თუ საქციელისა.

მ. კედიამ კარგად იცოდა, რომ ომის დამთავრების წინა ხანებში, ზოგმა შეშინებულმა ბირმა თავის ვადაჩენის მიზნით, ეთიომ პარტიზანული ორგანიზაცია დააარსა-საფრანგეთში, გერმანიის თუ იტალიაში. მან ყოველი ღრვე იმბარა, რომ ეს ამავე და მათი ვინაობა გერმანელთა ყურამდე არ მისულიყო და ამ საქმეში ჩარეული ქართველები არ გაენადგურებიათ.

მ. კედიას სხვა მრავალ დამსახურებასთან ერთად, საფრანგეთში მტხოვრებ ქართული ემიგრაციის უკლებრივი ვადაჩენაც მიეწერება-გერმანელების იქ ბატონობის პერიოდში. ვლასოვის მოძრაობას გერმანიის სამხედრო უწყება მფარველობდა. ხოლო ჰიტლერის ახლო წრეში, მისივე ბრძანებით, მას ვანგითარების შესაძლებლობა არ მისცა და ეს მხოლოდ სპარობანდოდ იქნა გამოყენებული. რამოდენიმე წელი ვაგარძელა რუსულად ანტიკომუნისტური მოძრაობის დამხმალდაცემულბოდა. ვარსა ომის საბოლოო ფაზაში, როცა გერმანიის მარცხი ცხადი იყო, ჰიმლერის მოავგონად ვლასოვი და დიდის ხანებით მოინდომა მისთვის სასწრაფოდ შეეხსა ფრთები. პრავის მანიფესტო და "რუსეთის ხალხების, კომიტეტის დაარსება ამის შედეგი იყო. ჰიმლერის ორგანიზაციამ ისიო მოისურვა, რომ რუსეთის ხალხების კომიტეტში კავკასიელები და სხვა არარუსი ერებიც შესულიყვნენ. თუმცა ვლასოვის დაგვიანებით გატოკუნებას მნიშვნელობა აღარა ჰქონდა, კავკასიელებმა და სხვა არარუსმა ერთა წარმომადგენლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. ვლასოვის კომუნისმისაგანთამისუფლად დიდი რუსეთი

უნდოდა. ხოლო იბრუნეს ერთი წარმომადგენლებს, რეიმიის განუტყრებლად, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება სურდათ. მათი პოზიცია ანტირუსული არ იყო, ის არის და იყო მხოლოდ საკუთარი პროვინული ინტერესების დაცვა, ამიტომ თვით სახელმწიფოსთვის ხალხთა კომიტეტი, მიუღებელი იყო. ისინი მზად იყვნენ, ვლასოვთან ან რუსეთის სხვა წარმომადგენელთან ერთად ეთაბიბირთან, ხოლო ამაზე შორს წასვლა კი მათ არგონულ ინტერესს დახვედა. ეს პოზიცია სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა პიმელერისათვის და იგი შეეცადა თავისი განზრახვა ძალით გაეტარებია. გარნა ეს შემოტევა და შეჭარა დიდის სიმამაცითა და შეუპოვრობით იქმნა მოგერიებული მ. კედიას მიერ. იგი ქართულთან ერთად იცავდა სერთათ დარაღს ერთი პოლიციის. იხ. ტორავლის წინადადება ზი ფერდერბენ ვოლენ.

ძალდატანებით არარსებობს „შემოერთება“ თვით ვლასოვმაც არ ისურვას. სხვა მოსაზრებთა გარდა, ზოგ გერმანულებს დააბეჭდათ, რომ ქართველებს და სხვა არარსებულ ერების ლეგალური მთავრობები, რუსთა ინვანისა გამო უცხოეთში გაიხიზნენ და მათ თავიანთ ერთა მანდირი კიდევ ჰქონდათ. მაშინ როცა ვლასოვის კერძო ინიციატივა, მას კიდევ რუსი ერის ახელით ლაბარაკის უფლებას არ აძლევდა.

რისი დამთავრებაზე ცოცხა ხნით ადრე, მ. კელიამ ზოგ კავკასიელთან ერთად, მოახერხა ნეკრასოვს ტერიტორიაზე — შიგინარიაში წასვლა. მისი მიზანი იყო დასავლეთულ მოკავშირეთათვის გაეცნო კავკასიელთა მდგომარეობა, მიზანი, და პოლიცია და დეარწმუნებია ისინი, რომ კავკასიელი ლეგიონერები რუსეთისათვის არ გადაეცათ. მოკავშირეთებთან და კერძოდ ამერიკელებთან, მრავალი შეხვედრა და აზრთა დაცვლა გამოცემა მოხდა. მ. კელიამ მათ მემორანდუმები გადასცა, რაც კიდევ ერთი საბუთია, მისი სიმამაცის, შორმჭერებულობის და საქმისადმი მიძღვნილობისა. უშუალოდ კავკასიურ საკითხის გარდა ის ღრმა ანალიზს უტოლებს რისი შემდეგ მსოფლიოს განვითარებას. სხვათა შორის იგი მიუთითებდა ომისაგან დანგრეულ გერმანიის აღდგენის აუცილებლობას — ამას მოითხოვდა ევროპის ინტერესები. ასეთი აზრის გამოთქმა დიდ გაბედულებას მოითხოვდა, რადგან იმ დროს, გამარჯვებულთა ფსიქოლოგია რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მას. ამერიკის იმდროინდელი ოფიციალური პირები სულ სხვაგვარად გეგმის განსორიკლებას აპირებდნენ. საერთოდ დასავლეთის შამინდელი სიბეჭე, მოგვიანებით ცველსათვის ნათელი გახდა. პოლიტიკური საკითხების კვლევისთვის ანალიზის სისწორე კი, მომდევნო წლებში სასურველით გაამართლა. გარნა ამასობაში დასავლეთში მრავალი მნიშვნელოვანი პოზიცია დაიკარგა და მსოფლიოში მძვინვარე კრიზისთა მეტი ნაწილი, სწორედ ამის უშუალო შედეგია.

ამერიკის წარმომადგენლებთან, მ. კელიას შუამავლით, მსჯავისი მოლაპარაკებები 1945 წლის გაზაფხულს, — თუცე გერმანიის ტერიტორიაზე, კიდევ გაგრძელდა. მასში მონაწილეობდნენ: მის. ალშობაი, ალ. ცომბია, ამ სტრატეგების ავტორი და გერმანელებთან — პრუს. გერპარდ ფონ შენდელ, სამწუხაროდ თანხმობა მხოლოდ ნაწილობრივ შედეგი გამოიღო და მან კავკასიელთა უფიქრის ნაწილის გადაარჩენის ვერ მიაღწია. თუმცა ჩვენთან მოლაპარაკე ამერიკელებს მდგომარეობა საკმარისად ესმოდათ, მაგრამ მათი მთავრობა ჯერ კიდევ ურეზერვოდ იცავდა ადრე აღებულ გეზს, რაიცა რუხველტსა, სტალინსა და ჩერჩილს შორის „მიღწევად“ ჩარჩობში რჩებოდა. მოგვიანებით ეს მოლაპარაკებები პრ. მენდელმ გახაერძო ინვლისელებთან.

მართალია, მომდევნო წლებში, კრემლის მიერ ხელშეკრულების დარღვევამ და აგრესიულმა საქციელმა „ცივი ომი“, დამბდა და დასავლეთმაც თავისი პოლიტიკა ნაწილობრივ შეეცადა, მაგრამ კავკასიელების გადასარჩენად ეს ეტევე გვიან იყო.

კავკასიელთაგან მხოლოდ სომხებსა ჰქონდათ შედარებით უტეტევი მდგომარეობა. მათ ომის შემდეგ ამერიკის მრავალრიცხოვანმა ორგანიზაციებმა გაუშაგრეს ზურგი. გენერალმა დრომ ეს გარემოება მოხერხებულად გამოიყენა სომხებთა გადასარჩენად. კერძო შემთხვევებში, სხვათა ზოგ კავკასიელთა დაცვებში, რისთვისაც მადლობა დღემდე მისაძებრეს.

ზემოაღნიშნული, მხოლოდ მოკლე ჯამით ქართულ შტაბის პოლიტიკური საქმიანობისა. ყოველივე ეს მიხელი კედლის ხელმძღვანელობით ხდებოდა. დარწმუნებული ვართ, რომ თავის დროზე ეს შესანიშნავი დამოუკიდებელი, დარსიულად აღვილს დაიქერს საქართველოს მატეიანეში.

ქართ. შტაბის საორგანიზაციო განყოფილების უფროსად და შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნა მიხელი ალშობაი. იგი შტაბში ერთნულ დემოკრატებს წარმოადგენდა. მას მიუხედავად უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ჰქონდა დამთავრებული, რის შემდეგ პოლონეთში მუშაობდა — საბანკო სისტემაში. უფრო გვიან კი საამერიკელი ქარხნის ვიცეპრეზიდენტობა მიიღო. ომის დროს გერმანულ ჯარში ჩაეჭრა — იმ მოსაზრებით, რომ თავის ქვეყანას როგორმე გამოეღებოდა. იგი თაბრქინად დანიშნეს ოფიცრის ხარისხით, გენ. ჟოლისის საჯავნო დივიზიაში. მ. ალშობაი მრავალი გერმანული და თეთი გენერალიც გააოცა — თავისი სიმამაცით, გაქირვებაში ხასიათის სიმტკიცით და ამხანაგობის დიდი უნარით. გენერალმა ის წარადგინა პირველი ხარისხის რკინის ჯვარზე. ამგვარად იგი პირველი ქართველი იყო ამ ჯილდოს მიმღები. როგორც საორგანიზაციო განყოფილების მმართველი და ბიუჯეტის განმანაწილებელი, მ. ალშობაი მრავალ ქართველ უწყველად ყოველგვარ დახმარებას. მისი გულკეთობა და დაძინანთა პირობების განჭვრეტის თვისება, არაჩვეულებრივი იყო. მას როგორც სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილეს, ხშირად უხდებოდა მოგზაურობა ქართული ნაწილების სანახავად და იქ არსებული მდგომარეობის შესასწავლად. მან დიდი წყლილი შეიტანა სამხედრო განყოფილების საქმიანობაში.

სამხედრო განვითარების უფროსად არჩეულ იქნა ამ სტრიქონების ავტორი. იგი აირჩიეს როგორც წარმომადგენელი ქართველი ლეგიონერების და სხვა მხედრების-ლეგიონის გარეშე ნაწილდებთან (მაგ. ბერგმანი). ეს მოხდა ავტორისათვის მოულოდნელად და მისი გეგმების საწინააღმდეგოდ. უბრალოდ ყოვლისა ამის შესახებ შელაპარაკა ე. კელია. მან მიიხრა, რომ ჩემ მიერ, ამ პოსტის დაკავების მსურველია, ყველა ვინც მე მივნიხს და განსაკუთრებით კი ბერგ-მანდლები. ამის შესწავლითაა ავტორივე უმოლოდინო მთავრობის გარშემო მყოფი წრეებიცო.

ასეთივე ხასიათის საუბარი ჰქონდა ჩემთან ა. ასათიანს, ე. ნოზაძეს და მრავალ, ჩემთან ერთად ბერგმანში ნამსახურებ ქართველს და სხვა მეგობრებს.

გერმანელების მხრივ ვენ. კოესტრინგმა, პროფ. მენდელბერგმანის ყოფილი მეთაურმა პროფ. ობერლენდერმა ასეთივე ზრდი გამოსთქვეს და იძულებული შევიქნენ დაეთანხმებინათყავი. (იხ. ჟურ. მამული 1955 წლის მეექვსე ნომერი და წიგნი: ZM SOHEN HAKENKREUZ UND SOM ET STERN. PATRIK VON ZUR MUHLEN. PP. 114).

1943 წლის ოქტომბერში, ქართული შტაბის დაარსებისთანავე, მის სამხედრო განყოფილებას დაევიდა, არსებული ქართული ლეგიონის, მისი ბატალიონების და ყველა სხვა გერმანულ სამხედრო ნაწილებში არსებულ ქართულ ერთეულების აღწესება, მთავრობის შესწავლა და, არსებული ნაწილის შემტანსამებრ გამოსწორება, ქართული ჯარისკაცების გადარჩენა, და მათგან საქართველოსთვის საქირთო ეროვნულ ძალის მომზადება. ეს იყო უკვე ზრუნვა მომავალ საქართველოსათვის ჯარის შემტანზე.

ზოგი ნაწილები იმ დროს, პოლონეთსა და საფრანგეთში იყვნენ განლაგებული. ჩვენ შევეცადეთ-ჯარისკაცებისათვის შთაგვეგონებია ადგილობრივი მოსახლეობა არ შევეწუებინათ. ჩვენ ლეგიონერებს კუხნილით, რომ ქართველები პოლონეთის და საფრანგეთის მეგობრები არიან და უნდა ასეთებდად დარჩნენ, რომ ჩვენ მათ არ ვყოფებით და რომ მათი იქ ყოფნა გერმანული სარდლობის განკარგულებით მოხდა და ჩვენ იძულებულნი ვართ ეს მივიღოთ.

ყველა ქართული ნაწილები გერმანულ სამხედრო უწყების განკარგულებაში იმყოფებოდნენ. ქარ. შტაბის სამხ. განყოფილების უფლები არა ჰქონდა უშუალოდ ჩარეულიყო მათ საქმეში. ერთადერთი საშუალება იყო კოესტრინგისადმი მიმართვა, რომ მისი დახმარებით მომზადდარიყო ჩვენ მიერ საქირთოდ მიჩნეული ცვლადები..

ჩვენ განსაკუთრებით მოვიხიზოდით ქართველების ამოყვანას პოლონეთიდან. იმ დროს იქ ფრონტი არ იყო და ჩვენ გვეუშინოდა, რომ გერმანელებს ქართული ნაწილები, პოლონულ ბატალიონთან წინააღმდეგ არ გამოეყენებიათ. მართლაც მათი გამოყვანა მოხერხდა გენ. კოესტრინგის დახმარებით.

ცხადია, ქართულ შტაბს მინაწილეობა არ მიუღია ქართულ ლეგიონერების გამოყვანაში და მთავან სამხედრო ერთეულების ჩამოყალიბებაში. როგორც აღვნიშნეთ ეს მოხდა გერმანული მხედრობის ინიციატივით და ქართულ პოლიტიკურ წრეთა დაუკავშირებლად. ამგვარად 1942 წლის თებერვალში ე. ი. ქართული შტაბის დაარსებაზე ადრე, ქართული და კავკასიური ლეგიონები შეადგინენ.

იმავე წლის 28 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე, ლეგიონის ბანაკზე აღმართეს ქართული სამეფოერანი დროშადა არმიის უმაღლესი სარდლობის განკარგულებით გა-რკვეული ბრძანებები აღინიშნა, რომ ამიერიდან ქართველი ლეგიონერები ეროვნულ და-როს ქვეშ იწყებენ ბრძოლის თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის. მიუხედავად ამ სა-სიამოვნო სიტყვებისა, ქართული ლეგიონის ისტორია საესეა სიძნელეებით, დაბრკოლებებით, შეცდომებით და სხვა არასასურველი მოვლენებით. უბრალოდ ყოვლისა ლეგონს სჭირდებოდა ყველასათვის ვასაგებო პოლიტიკური საფუძველი. ცხადია, გერმანული სამხედრო უწყება ამას ლეგიონერებს ვერ მისცემდა, რადგან პიტლერს გარკვეული გეგმა კავკასიისადმი არა ჰქონდა და იგი გერმანიისაგან უნობლ და აღიარებულ ქართულ პოლიტიკურ ცენტრს დაიარსების უფ-ლებას არ იძულოდა. ვარდა ამისა, მრავალი ლეგიონერი მოწმე გახდა, ათუ როგორი იყო პიტ-ლერის გერმანიის პოლიტიკა დაპყრობილ ტერიტორიებზე, მაგ. პოლონეთში, რუსეთში და უკ-რაინაში, თუმცა ჩრდ. კავკასიაში ასეთი რამ აღარ განმეორებულა.

ცხადია, პიტლერის პოლიტიკის შემუშავებაში საკონფლიქტში ჩაება ჩვენ შიდა ასე მო-იქცნენ. მრავალი წითელარმიელი ხომ ტყვედ იმ რუმენთ ჩაბარდა, რომ გერმანია არსებულ საბჭოთა ჯარსერთეს, რაივე უტყობის შესცვლიდა. ამას ხომ თვითმფრინავებიდან გადმოყრი-ლი ფურცლებიც პირდებოდნენ. დაპყრობლ ტერიტორიებზე ნახულმა და ტყვეთა ბანაკებში გაიშვებულმა ცუდმა პირობებმა იქ მოლოდინი არ გაამართლა და ბევრ მთავანში გერმანელთა სიძულვილი დაიშადა. ეს კიდევ უფრო გააღრმავა პიტლერის ზოდგოთა იდეებმა ჩრდილო-კავ-კასიისადმი. ზეადამიანობაზე და მისმა გამოვლენებამ ზოგერთ ქვეყანულ გერმანელის საქციე-ლში. ლეგიონერთა შორის ბევრმა რიდი იცოდა იმ გერმანელთა არსებობის შესახებ, რომ-ლებიც ცდილობდნენ ამის გამოსწორებას. გერმანული სამხედრო უწყება, სხვა პოლიტიკურ თა-საშუალებების უქონლობის გამო, იძულებული იყო ლეგიონში ხშირად მთავარ ლოზუნგად გამოე-ნიშნის საწინააღმდეგო საერთო ბრძოლა გამოეყენებია. ეს კავკასიისათვის საქართველო არ აღ-მარჩნდა. მათ აწუხებდა ეროვნული საკითხი და არა მარტო რუმენის პრობლემა. ვარდა ამისა იქონი. ის იცოდნენ თუ კომუნისში რით უნდა შეგვიღილიყავი. იმ ნიადაგზე დაიბადა ურთიერთშ-არის უნდობლობა.

ლეგიონის საველე ბატალიონების მეთაურებად გერმანელი ოფიცრები დანიშნეს. ასეულს ორა უფროსი ჰყავდა-ქართველი და გერმანელი. ცხადია, ეს თავისთავად არაჯანსაღი მდ-ეუც

გომარობა— მითუმეტეს თუ იგი სამხედრო წვრთნის პერიოდს სცილდება. ამას დაემატა მრავალი გამოგებობანი, გამოწვეული ენის უტოლინარობით, ზნეჩვეულებით სხვადასხვობით და სრულიად განსხვავებული აღზრდით და კიდევ სხვა მიზეზებით. ყოველივე ეს საკმაოდ რთულ პირობებსა შექმნიდა. გერმანიელი მხედრები კვლეა ჩვენი მეგობრები არ იყვნენ. მაგალითად ამ დროს აღმოსავლეთის ნაწილებს განაგებდა გენერალი ჰაინც ჰელმანი, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, იგი არ იყო მისი სამწესოში მოქცეულ „ცხვარის“ ერთგული მწყემსი. თუ არსებულ წიტილს დავუჯერებთ: „აღმოსავლეთის ერთი“ ჯარისკაცები გამოსაღებას იყვნენ მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სიტოსხელ შეეწერათ. ეს გერმანულ მხედრებსა შეუბრალებად და უკანასკნელ კაცამდე უნდა გამოეყენებინათ. მათი პოლიტიკური მოთხოვნები გენერალს არ აწუხებდა. ეს არქონებდა გადაწყვეტილი მათი მიღწევების მიხედვით, არამედ მათ ძალთა პრაქტიკული ჩვენ ძალბთან შედარებით. რამდენად ჩვენ უფრო ძლიერნი ვიქნებით, და რამდენად იმეტი ამომსავლეთელი ნისხიდან დაიკლებინათ, იმდენად უფრო პატარა იქნება პრაქტიკული ეფექტი მათი მოთხოვნილებებისა. (იხ. აღქმ. დალოინის წიგნი) მოგვიანებით ჰელმანის შეცვალეს ჩვენი ნამდვილი მეგობარი— გენ. კოესტრინგი. კოესტრინგი, რომელიც მოხალისეთა ნაწილების გენერალად დანიშნეს. ეს მოხდა ქართული შტაბის დაარსების სამი თვის შემდეგ.

კოესტრინგის, მის აღიუტანებელ ჰერგარდის და მათ თანამშრომელთა დამოკიდებულება ჩვენი ურთიერთ ნდობის, პატივების, კეთილშინების დასაფრთხილებს მიზნით მისი სამხედრო ნიადაგზე დამყარდა, რაც ბოლომდე გაგრძელდა. კავკასიელ ოფიცრების მეთაურებად დანიშნულნი შტაბის დიდ დახმარებას სურვედა, მოხ. ნაწილების პერსონალთა განყოფილების უფროსი კაპიტანი ზეგერმანი.

მაგრამ ვიდრე კოესტრინგის დახმარება ჩვენს საქმეს გააძლიერებდა, შტაბის დაარსებისთანავე ე. ი. 1943 წლის ოქტომბერში მოხ. აღმოსავლეთის ერთად გადაწყვეტილ ქართული ნაწილებს დათვალდებოდა და მათი მდგომარეობის აღვიწავლა. საჭირო ნებაარაყა, სარეკომენდაციო ბარათები და ნაწილთა განლაგების სქემა, მივიღეთ აღმ. ჯარების გენერალის შტაბისაგან.

გენერალი კოესტრინგი, პირველად ვინაზე და გვიციანი 1942 წლის გაზაფხულზე ჩრ. კავკასიაში, როცა იგი ფელდმარშალ კლაისტის მრჩეულად და ამავე დროს, მოხ. ნაწილების ინსპექტორად იყო დანიშნული. მან ფრონტზე მყოფი ბერგმანი ინახულა— არა მარტო მის დასაოფრებლად, არამედ რჩევების და დახმარების მისაღებადაც. თურმე იმ დროს ქართული ლეგიონის საველე ბატალიონი 795 ჩამოუყვანიათ და მის გაყვანას აპირებდნენ ფრონტზე. გენერალი ამის გამო შეწუხებული იყო და ბერგმანის უფროსს კამ. ობერლენდერს სთხოვა ბატალიონის შეფასება. ამ შეფასების დროს ვადაწყვედა, რომ ბერგმანელებს ერთი ჯგუფი ბატალიონის ესტუმრებოდა, გაიყვანებოდა და შეაფასებდა მას. თან გამოკვეცა ობერლენდერის აღიუტანტი ე. კუჩინსაძე, როგორც გერმანელების წარმომადგენელი. ჯგუფის დასკვნით, ბატალიონი ფრონტზე განაყვანად ვერ გამოადგებოდა. (იხ. ობერლენდერის დღიური). მაგრამ, ვიდრე გენ. კოესტრინგმა ამ საქმეში ჩაერეოდა, ფრონტის უბნის უფროსმა ბატალიონი უკვე საომარ ხაზზე გაიყვანა. შემთხვევისთანავე ერთი ასეული ნაწილი წითლების მხარეზე გადავიდა. მთელ ბატალიონს მშინველ ტანკები შემოარტყეს და განაიარაღეს.

ფრონტის ნაკვეთის განრიგებულ უფროსს ჯერ ყოველ მეორე ჯარისკაცის დახვედრა უნდოდა და შემდეგ ეს „შეარბილა“ და ყოველ მეთე კაცის დახვედრას აპირებდა. ჯგუფის დიდი მესდენობით, თავდებობით და ყოველგვარი პარანტიების მიცემით, გენ. კოესტრინგმა დაკამ. ობერლენდერმა მოახერხეს ფელდმარშალ კლაისტისაგან ნაკვეთის უფროსის გადაწყვეტილების შეცვლა. ახალი განაკარგულებით, ბერგმანმა ბატალიონი გადაამზადა. ის ჯარისკაცები, რომლებიც „შემჩნეულა“ ითვლებოდნენ, და სასჯელი მოელოდა, ბერგმანში წაიყვანათ. მათ სიტყვა მოგვეცეს, რომ თავდებობას არ გააყვამბენ და მართლაც ამის ერთგულები დარჩნენ ბოლომდე.

მეორე უფრო ნაკლებად შენიშნული ნაწილი, ზუბინს მშენებელ სამუშაო ჯგუფად იქმნა გადკეთებული. ხოლო უმეტესობა ძველ ბატალიონს შერჩნენ და კავკასიაში დატოვეს. მოავარი მიზეზი ამ ბატალიონში დატოვებულ ტრაგედიასა, გერმანელების მიერ დაშვებული შეცდომების იყო, რომელიც ორიოდე პროცენტობა მოხერხდა კლად გამოიყენა, რისაც კინადამ, მრავალი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. სხვათაშორის ამ ნაწილში, ჩემთვის პირადი სამუშაო შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. პაემონის დროიდან კარგი ნაენობი ტფილისელი ამირან შალაბერიძემ იმ თურქი ჩემს ნახვას მოელოდა. რამდენიმე დღით წინ ჩვენს მისვლამდე, ფრონტზე გასულს მომავლენიველი ტყვია მოხვდა.

მსგავსი პირობები არსებობდნენ დასაწყისში ლეგიონის ზოგ სხვა ბატალიონშიც. გენ. კოესტრინგის, მისი აღიუტანტი ჰერგარდის და სხვა მისი თანამშრომლები, ხანგამოშვებით გვიანებულდებნებოდა ბერგმანელებს კავკასიაში და უკან დახვევის შემდეგ— ყირიმში. მრავალი შეხვედრათა შემდეგომ გენერალმა ყირიმიდან ბერგმანის რამდენიმე ოფიცერი ვაგზაგად დრეზენის ცნობილ სამხედრო სასწავლებელში, რომელიც გერმანულ ოფიცრის ხარისხით დავამთავრეთ. ამით გენერალი განაგრძობდა თავის მუშაობას, კავკასიელ ჯარისკაცების გერმანელებთან გათანაწილებას. სწორედ ამ სამხედრო სკოლის დათავრების შემდეგ 1943 წლის შემოდგომაზე, ბერგმანში უკან დაბრუნების ნაცვლად, ქართულ შტაბში მომიხდა მუშაობა.

გენერალი კოესტრინგი შესანიშნავი ზრდანი აღიმიანი იყო და სხვა მრავალ თვისებათა შორის, ისეთ თავმდაბლობას იჩენდა, როგორც მხოლოდ დიდ პიროვნებას ახასიათებს. მისი ქართველებსადმი მეგობრობა, მისი სიტოსხლის უკანასკნელ დღემდე გაგრძელდა. ამის დამა-

თავრების რამდენიმე წლის შემდეგ, კარმაგი ვენერალი მის დაბადების დღეს ვინახული. ეს იმავე დროს ჩვენს გამოთხოვებას და დაშორებას ნიშნავდა. ლამაზ ბაეარის მშინა სოფელში იმპერატორს ცხობრობდა. მისი მეუღლე მომიხილავი მანდილოსანი გავვიმსახინძოდა. გამოთხოვების დროს გენერალს თვალში ცრემლი აეცა, მამაშვილურად გადაეხევიდა. სამასსოვრო სურათზე, რომელიც თავის შვილთან ერთად არის გადაღებული, არის წარწერა: ჩემს ძვირფას მეგობარს? ძიძე მდგომარეობის დროს. . . დარწმუნებული იყავი, რომ ჩვენს საერთო შრომას, ბრძოლას და მამაშვილურებას არასოდეს არ დაევიწყებ.

გენერალის შტაბთან შეთანხმებით, მ. აღშობაძე და მე პირველ რიგში ატლანტიკის სანაპიროზე გერმანელთა დაცვის ხაზში მოცულობა ქართული ნაწილები ვინახული. შემდეგ მე ყირიმში გავიჭირე, სადაც ბერგმანის ვარაუხევა ერთეულები ხმელეთიდან მოკოლები იყვნენ. ბერგმანი იმ დროს პეტროპოლის მიდამოებს იცავდა და სიმახილისთვის უმაღლეს სარდლობის განსაკუთრებულ ცნობაში იქმნა მოხსენებელი.

ჩემი სული და გული ბერგმანთან იყო და რაც შეიძლება გავაქინებდი იმათთან ყოფნა, ეიდრე ქართული და კოსტრინის შტაბიდან არ მივიღე ცნობა, რომ საქირო იყო ჩემი უკან დაბრუნება. ჩვენი მოგზაურობის შედეგების შესახებ მოხსენება წარვედგინე ორთავე შტაბს. სხვა შენიშვნათა შორის, ჩვეუცას ახრით სავირო იყო ლეგიონის და მისი ბატალიონების სახეობით ქართველ ოფიცრების ხელში გადასვლა. მეტი ქართველი ოფიცრების მომზადება სასწავლებლებში, არსებული ბატალიონებიდან დიდი სამხედრო ერთეულებს შედგენა, ყველა კავკასიური ნაწილების კავკასიურ არმიისში გაერთიანება-კავ. ასივლი გენერლის ხელმძღვანელობით და სხვ.

ქართული შტაბის სამხედრო განყოფილებაში შევიყვანეთ განსახლებული რიცხვი მხედრებისა. მათ უნდა ენახათ სისტემატურად ქართული ნაწილები, რათა იქ არსებულ მდგომარეობის კერძო ვყოფილიყავით. ამის საშუალებით ზოგი გაუგებრობა და ნაკლი გამოსწორდა.

სამხედრო განყოფილების შექმნა ოფიცრები: დიმიტრი შალიკაშვილი, ა. ბოკრია, მიხეილ ქავთარაძე და გიორგი ინჯია. შალიკაშვილი და ბოკრია იყვნენ როგორც კონსულტანტები წმინდა სამხედრო საჭმებისა. ხოლო ქავთარაძე და ინჯია-ბატალიონების მდგომარეობის მეთვალყურე და მომხსენებელი ოფიცრები. ქავთარაძე საველე ბატალიონთათვის, ხოლო ინჯია-სამუშაო ბატალიონებისათვის. შტაბის განკარგულებაში იყვნენ აგრეთვე ფელთველები: კ. აღშობაძე და ალ. აბაშიძე.

შტაბის დაარსებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, კოსტრინთან შეთანხმებით, ქართული ლეგიონის უფროსად დანიშნა სიმონ კობიაშვილი, ხოლო მის მოადგილედ მიხეილ დიდი, ბატ. 799-ის უფროსად ვანო ბაქრაძე. იტალიაში მყოფ ბატ. II/198-ის უფროსად დანიშნა. და დიდი. ამ ნაწილში ისელები უფროსებადაც ქართველი ოფიცრები დანიშნენ.

გენ. კოსტრინის დახმარებით და განსაკუთრებით, მისი შტაბის საყოფილების უფროსის პოლკოვნიკ როგაქეს გულმოდგინებით მოხერხდა ბატ. 799-ის დანიაში გადაყვანა, რითაც ის განადგურებას გადაურჩა. დანიაშივე ვაიგზანა რამდენიმე სხვა კავკასიური ნაწილი კავკას. ბრიგადის შესადგენად. მაგ. ჩრდ. კავკ. ბატ. 836 ადრეზიანული ბერგმანი და სომხური კომპანია. და სხვა ნაწილთა ერთეულები.

1945 წლის მარტში კავკასიურ შტაბების გაერთიანებულმა საბჭომ ვეტხოვა, მოგვემზადებინა მოხსენება ყველა კავკ. ნაწილების მდგომარეობის შესახებ და მოხსენების საფუძველზე გენ. კოსტრინის მოკლავარაქებით-დროის შესაფერ ცვლილებათა მოსახდენად. მოლაპარაკების შედეგად არჩეულ იქნა და გენ. კოსტრინის მიერ დამტკიცებული, გენერალი ლაზარე ბიჩრახიური, ყველა კავკასიურ ნაწილების უფროსად. ამივე გეგმით გათვალისწინებული იყო კავკასიური არმიის ჩამოყალიბება.

ს. კობიაშვილი მივლინებულ იქმნა დანიაში, იქ დაგროვილ კავ. ნაწილების ხელმძღვანელად. ხოლო დ. დიდი დარჩა ლეგიონში, რომელიც ჯერ პინდელი ოლქზე და შემდეგ უფრო სამხრეთით ჩეხოსლავნ გადავიდა. აქედან ბატალიონი დასავლეთისაკენ უნდა წახლულიყო.

კოსტრინის შტაბისათვის ყველაზე ძველი და მიუღწეველი აღმოჩნდა ბერგმანის და სხვა ნაწილების გამოყვანა პოლკანდელად. ქართულმა შტაბმა, მეტად ძიძე პირობებში, მათთან დასაკავშირებლად კავაზგანა და აღაშობაძე. მოკლავარაქები კი მოცემული ჰქონდა წერილი არმიის მთავარ შტაბისაკენ გენერალ პოლკოვნიკ ფერდინანდ შოენერის მიმართ, რათა მას ბერგმანის ნაწილები გაეთავისუფლებოდა და გერმანიაში გამოეგზავნა. გენერალი დათანხმდა და სამილი ბრძანებაც გასცემარა და მასინდელ ბერგმანი უფროსად-გუბერნატორების-გუბერნატორის და პირობების მოწოდების მიხედვით, ბერგმანის უფროსს ბრანდეს არ მოუსურვებია - ჩვენთვის აღსნელი მიზეზით, და თავისი პოზიციის გასამართლებლად, ფონტის ნაკვეთის კომანდანიტ დამუშავებშია, რით ნაწილის ადგილზე დარჩნა აუცილებელია. გენერალი იძულებული გახდა რა მთო არგუმენტები სახეში მიეღო და ამგვარად ბერგმანი ადგილზე დარჩა, რის შედეგადაც ომის დასასრულს გარემოცვაში მოხვედრილი ბატალიონი ტიტოს ტყვეობაში აღმოჩნდა, საიდანაც გარდა ემიგრანტებისა ყველანი რუსებმა წაიყვანეს. ასეთსავე სიმწველეს წაიყვანდნენ კონიგსბერგთანაც, სადაც მრავალი სამხედრო სააღმწენებლო ნაწილი გარემოცვაში მოექცა.

მოგვეყვას შემოკლებული ტექსტი მოხსენებისა, კავკასიური სამხედრო ერთეულების აღრიცხვისა, განლაგებისა და საერთო მდგომარეობისა, რომელიც ქართული შტაბის სამხედრო განყოფილებაში წარუდგინა კავკასიური შტაბების საბჭოს და გენერალ კოსტრინის.

... 1941/42 წელს გერმანულ შეიარაღებულ ძალების მთავარსარდლობის მიერ ჩამოყალიბდნენ: ქართული "თამარ პირველი", "თამარ მეორე", და განსაკუთრებული სამხედრო ნაწილი კავკასიური "ბერგმანი"-1943 წელს ბერგმანი, მთავარსარდლობის ნაცვლად, არმიის განკარგულებაში გადაიყვანეს.

1942 წლის დასაწყისში გერმანულ არმიის უარგლებშიაგროვებულ შეადგინეს კავკასიური ლეგიონები. ხოლო მათგან წარმოიშენენ ლეგიონის საეველე ბატალიონები. ათი ათასობრივი. რვა ადრეზობიოჯანური.თორმეტი ქართული და რვა ჩრდ. კავკასიური. თითო ბატალიონში ირიცხებოდა ათასობრივი ჯარისკაცი, ხოლო ლეგიონში შედის ათასობრივი ორი ათასამდე ჯარისკაცი. -სარეზერვო. გარდა ამისა სამოცდამეორე გერმანულმა დივიზიამ თავის ფარგლებში, ჩამოაყალიბა სამასმეოთხმეტე ადრეზობიოჯანული რეგიმენტი(პოლკი).

კავკასიულ ჯარისკაცთა რიცხვი ლეგიონისა და საეველე ბატალიონებში უდრის 48700-ს. ამთავან სომხები 11000. აზერბაიჯანელები 13600. ქართველები 14000. ჩრდ. კავკასიელები 10100.კავკ. ჯარისკაცთა რიცხვი მომზადებულ და მშენებელ ნაწილებში არის 21 95. სომხები 7000 . აზერბაიჯანელები 4795. ქართველები 6600. ჩრდ. კავკასიელები 3000. კავკასიელთა რიცხვი ზემოლენიშნულ ერთეულთა გარეშე სხვადასხვა გერ. ნაწილებში უდრის 32000. ამგვარად ს.ერთობ. რიცხვი 102.295 -ია.

1942 წლის თითქმის ყოველი ბატალიონი ფრონტზე გაიყვანეს, უმეტესობა კავკასიაში. მათ შორის აზერბაიჯანული 804- უბნებში. 905, 906,1/111 მარტბატონი და ოჯახობიონის მახლობლად. სომხური 809, 810- ჩრდ. კავკასიის ხეობებში. ქართული 795- ბაქსანზე და ურუსზე. I/9, II/4, 796, I/I- ყუბანში.

ჩრდ. კავკასიური 842, 843, 803, 836, 835 - ყუბანში, ნალჩიკთან, მალკოვთან და ჩერკეთთან. კავკასიური „ბერგმანი“ ტერეკ, მოზდოკ, მალგოზეკ, სტარო ფლოროვსკიათა, ბაქსან, ნალჩიკში. დანარჩენი ბატალიონები აღმ. ფრონტის სხვანაკვეთებზე გაანაწილეს. თითქმის ყველა ბატალიონში დადი დანაკლისი განიცადა ბრძოლაში. განსკუთრებით დაზარალდენ: 805, 806, 842, 843, II/4, I/9, 796.

1942-43 წლის ზამთარში უკან დახევით ბრძოლების დროს, მათ შეუერთდა შვიდი ათასი ჩრდ. კავკასიელი მობალისე. ამ ლტოლვილი ბრიგადამაც მძიმე მსხვერპლი გაიღო და დიდი სიძინელების შემდეგ ჩრდ. იტალიის მიაღწია.

უკან დახევის შედეგად ზოგი ნაწილი ყირიმში მოხვედა და პერეკოპთან და სივანთან ბრძოლებში მათ თავი ისახედეს-განსაკუთრებით ბერგმანმა. მოგვინებით, ეს ნაწილები ხმელეთიდან მოჭრილ ყირიმის თავდაცვით ბრძოლებს შემდეგ, დიდი სიძინელი გამოეყვნენ.

1943 წლის შემოდგომამდე მრავალი ერთეული, მთავარი საარმიო შტაბის ვ.კ.კ.არტაგულბითსა-ნაბიონი ხაზების დაცვის სრულეშაში გადსავლეთში. მაგ. სომხური ბატალიონი 812 -პოლენდიაში, აზერბაიჯანული 807 და 804-საფრანგოში (სანტ რაფაელ), ქართული 822 - პოლენდიაში (ცანდოვრე), 795 -საფ. ანგეთში(შერბურგ), 823-კუნძული გერანზე, 797-საფრანგეთში (და მე დოუ პიევი), 798-(სან ნაზერ); 799-(ვერბიკ), II/4 და I/9 -საფრანგეთში-(ალბი-ქასტის მიდამოები).ჩრდ. კავკასიური 800, 835, 836, 803-საფრანგეთში კასტრი და ტულონის მიდამოები. იტალიაში: ქართული ბატალიონი II/198 და აზერბაიჯანული რეგიმენტი(პოლკი)-314- აგრძენილ ახსამოცდამეორე დივიზიის ფარგლებში.

არმიის მთავარსარდლობის ბრძანებით ბალკანეთში დარჩენენ: სომხური ზატ. -814 . ქართული ზატ. ბერგმანი პირველი. ჩრდ. კავკასიური-842, 843 და ბერგმანი მესამე, აღმ. ფრონტზე განაწილდენ შემდეგბატალიონები: აზერბაიჯანული-817, 818, 819, I/3 ბერგმანი მეორე და თითქმის ყველა მშენებელი და მომზადებელი ერთეულები.

1944 წლის ივლისის მოკავშირეთა მიერ საფრანგეთის ინვზიის შემდეგ მთავალი სამხედრო ნაწილი მძიმედ დაზარალდა. ზოგი მთავარი გარემოცილდენ ვერსალეში. მაგ. ბატალიონები: 795, 797, 798, II/4, Q 807, 800, 819, I/3და ბერგმანი მეორე. ყველაზე მეტი დაკარგა მშენებელი ნაწილებმა, აღმ. პროსიამი და კერძოდ კონიგსბერგთან.

ბალკანეთში ამჟამად ბრძოლებში მონაწილეობენ: ქართული ბერგმანი პირველი, ჩრდ. კავკასიური ბერგმანი მესამე და ბატალიონები 842, 843. მათ საბერძნეთიდან მძიმე ბრძოლებით უკან დაიხიეს.

იტალიაში .ქველავ იმყოფებიან: ქართული II/198 და აზერბაიჯანული რეგიმენტი 314. დანიში მანაბარი ხაზზე გადაიყვანეს ქართული 799.

კავკასიური ლეგიონები (სარეზერვო ნაწილები) აღმოსავლეთის ფრონტზე გააგზავნეს, თავდაცვითი ხაზის ასაშენებლად...

ამ მოხსენების განხილვის შემდეგ, კავკასიური შტაბების და ვენ. კოესტრინის შტაბის მიერ გადაწყდა: ომის უკანასკნელი ეტაპის დროს, შეთხზნებულად ემოქმედნათ, რათა ჯარისკაცები გადაეზარჩინათ და ამავე დროს კავკასიურ პოლიტიკისათვის ხაზი გარსდეთ. -რაკ ზემოდ უკვე ნახსენებნი იყო და ამიტომ მოკლედ ვიმოყრებთ. კავკასიურ ოფიცრების ხელმძღვანელობით -სამხედრო ერთეულები დასავლეთის შესაფერის ადგილებში შეჯგუფდნენ, იმ იმედით, რომ კავკასიურ საბჭოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება ამერიკელებთან და ინგლისელებთან, სასურველ შედეგს მოიტანდა. ამავე დროს, ვენ. კოესტრინის და კავკასიური შტაბების სამხედრო განყოფილებათა გაერთიანებულმა კლდით არმიის განკარგულებამაც ვერც კავკასიურ სამხედრო ნაწილებს ასცადა. პიშღერის ხელში ჩაგარდნა.(პიშღერმა, რომელიც ასეთი ნაწილების შედგენის დაუბრუნებელი მტერი იყო, ომის დამთავრების წინ გადაწვევითა ელსოსვის და სხვა არარსებ ნაწილების თავის ზედამხედველობაში მოქცევა).

სამხედროდ, დასავლეთ დემოკრატიის ომდროინდელ ლიდერების განწყობილების გამო, ჩვენი იმედები, რომ ხალხი გადავჭარჩინა, არ განხორციელდა. დასავლეთში თავმოყრილი კავკასიელი ჯარისკაცები, სამუშაოდ წყავნილი ღლელები და ტყვეთა ბანაკებში მყოფები ძალით გადასუსტ ოსების, ამათგან მხოლოდ მცირე ნაწილი მოახერხა გადაარჩენა. ინგლის-ამერიკის მიმართული ამგვარი საქციელი, ილტვის ხელშეკრულებამდერ(1945 წლის თებერვალი) დაიწყო და,

ვენეციის კონვენციის და დასავლეთ დემოკრატიის ტრადიციულ ჰუმანიტარული პრინციპების და-
რღვევის უხეში მაკალითია. იატიის ხელშეკრულებამ ეს მოვლენა მხოლოდ განამტკიცა.

ისტორია სამარცხენო ადვილს მიუჩენს ამაში, მონაწილეებს—განსაკუთრებით კი—„ლიდ“ სა-
ხელთა შქინე უოლფვიუსს, დასავლეთ დემოკრატიულ ქვეყნების ყოველმა მოქალაქემ უნდა წა-
იკითხოს ჯულიუს ეპშტაინის წიგნი „ობერეშიენ კეულხაულ“, წიგნი მთლიანად ეძღვნა ძა-
ლდრანებით რეპრესიას. აგრეთვე მათ უნდა წაიკითხონ სოლენინის „სულევის არხიპე-
ლატი“, სადაც ზოგ ძალით გადაცემულ უბედურთა ხეივანი არის აღწერილი. ამ წიგნში კავ-
კასილებში სპეციალურად არ არიან ნახსენები და ლაბარაკია საერთოდ საბ. მოქალაქეებზე.

კრემლი სასტიკად გაუსწორდა არა მარტო ყოფილ ლეგიონერებს, არამედ მათაც, ვინც უხ-
რალო მუშებან ან ტყვეთა ბანაკებში გაატარეს იმის ხანა, როგორც ცნობილია, ტყვედ ჩა-
ვიარდნად დანაშაულოდ ჩაითვალეს, ხოლო ვინც ხელში არ ჩაუვარდა, მათ შიშობებსა და
ახლო ნათესავებს დატყდათ თავზე რეპრესიები. ზრუშიციის დროს, უდანაშაულო მშობლები
განათავისუფლეს. აგრეთვე რეაბილიტაცია უხვეს წარსულში ათასობით სიკვდილით დასჯილ
და გადასახლებულს, რომელთა დიდი ნაწილი გადასახლებაში დაიღუპა, გარდა, ცხადია, ესენი
საფლავებიდან ქეღაწე წამოაყენეს.

საბჭოთა პროპაგანდასტებს რომ მოვლენათა ლიოლური ანალიზის უნარი ან ნება ჰქონდეთ,
მიხედობდნენ, რომ მეორე იმის დროინდელ ამ მოვლენებზე მათთვის სრული სიჩვეუ აჯობებდა,
რადგან იქ შექმნილმა პირობებმა აიძულეს კავკასიელები, სხვა არარუსი ერები და თვით რუ-
სებიც, რომ გერმანიისადმი მიემართათ ჯოჯობილურ ცხოვრებას და თავის დასაღწევად. რუ-
სეთის ისტორიაში არ მოიძებნება ვლასოვის მსგავსი მაკალით, რომ რამდენიმე ასიათასი
რუსი ჯარისკაცი, იმის დროს მტრის მხარეზე გადასულიყოს, ხელში იარაღი აეღოს და მტერთან
ერთად ებრძოლოს—საყოფარო ქვეყნის რეგიმის დასამოხობად. ჩვენი აზრით არაა ეს ერებს ასეთ
მოქმედებისათვის უფრო მეტი ვამაართლებელი მიზეზი და საბაბი ჰქონდათ. მათ გერმ-
ანიის ევროპის წარმომადგენლად მიიჩნიეს და მისგან ერაიენულ და პიროვნულ თავისუფლების
მიღწევამი დახმარებას ელოდნენ. გარდა გერმანიის მაინცდელ პოლიტიკურ სისტემის და ზრ-
ახელების აწონის სამთულებ-ქხალიც, მათ უნარს და ცოდნას აღემატებოდა.

პიტლერის არაადამიანებრმა რეეიმა ამ ხალხის ნდობა არ გაამართლა. შესაძლებელი იყო და-
ახლეება და თანამშრომლობა მხოლოდ იმ გერმანელებთან, რომლებიც პიტლერის პოლიტიკას
არ იზიარებდნენ და სილიდარულნი იყვნენ კრემლის მიერ დამონებული ადამიანთა მიმართ. და რუ-
მელთაც ტიურხის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი დახმარება სურდათ.

ეს იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის ახალი ურთიერთობის დამყარების ცდა, სადაც რუსები
და არარუსებიც ერთგულნი და პიროვნული თავისუფლების პრინციპის დაცეით ვახდებოდნენ ხა-
ლხთა საერთაშორისო ოჯახის წევრები. რაც შეეხება ქართველებს, მათ იმეტი ჰქონდათ, რომ გე-
რმანია გაავრძელებდა პირველ მსოფ. ომის შემდეგ დამყარებულ ქართულ-გერმანულ მეგობრო-
ბას—საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში რომ წარმოიქმნა. მაშინდელმა გერმანიამ დი-
დი დახმარება გაუწია ახლად შექმნილ და აღდგენილ ქართულ სახელმწიფოს.

გერმანიის იმდროინდელი ჩვენი ამი განწყობილება სამავალითად არის ნაჩვენებები ქართველ
დიდ პატრიოტის პროფესორ მიხეილ წერეთლის ნარკვევში, რომელიც გერმანულ ენაზე საუც-
ხოლო აღწერს მაშინდელ საქართველოსს.

ამ ნარკვევის დასასრულს უნდა ითქვას: კავკასიის ძლიერმა მეზობლებმა თავისი იმპერიალი-
სტური ზრახვებით, შეუძლებელყვეს კავკასიის ერთობა და დამოუკიდებლობა. ამაში თვით კავ-
კასიელთა საქციელსაც მიუძღვის წილი. კავკასიელებმა ვერ შეძლეს შეკავშირებულ დაგვართო-
ანებულ ძალებით თავდაცვის ეფინგობობა, როგორც ეს ისტორიულად ვერცერთ კავკასიის ისტო-
რიაში ისეთი სამწუხარო განცდიბივი ვიცი, როცა მტერი ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ
გვაშხედრებდა და ამ დაქსაქსულობას თავის სასარგებლოდ იყენებდა. მაკალითად: სპარს-თურ-
ქთა წაქეზებით ლეითა უწყვეტმა შემოსევებმა, პატარა იანი აიძულა რუსთა დახმარება თხო-
ნა. თორქმენების შიშით სომხები რუსიფილურად განიმსჯელებენ, აზერბაიჯანელი კი სამხრეთი-
საკენ იტყობოდნენ. ამ ერთა მრავალმა პასუხისმგებელმა მოვლენებმა შევიწინა და მრავალი
ცდა მიზნად კავკასიელთა დაახლოებისა—როგორც იქ ჩვენს სამშობლოში ასევე უცხოეთშიაც.
მეორე ამ მეზობლურ კინკლაობას ამავეი აღწევს ჩვენი ამდენ-განსაკუთრებით სიმეხთა მხრი-
დან. ზოგი მათი „მეცნიერი“ სომხეთის წარსულის ხიბობის დროს, საქართველოს ისტორიის დამ-
ცირებით არის გაართობი. როგორც ჩანს, მათი ქართველი კოლეგები ხანგამოშვებით მაინც ახერ-
ხებენ პასუხის გაცემას, როცა კრემლის ცენზურა ამის ნებას ართავს. ეს საქციელი მხოლოდ კავ-
კასიელთა მტრის გაახარებს. საქირთა ჩვენი ერთობის მსურველებმა ზომები მიიღონ, რომ
„დაპყავ და იბატონოს“ ანკესზე არ წამოვეგოთ.

გეოგრაფიის გარდა კავკასიელებს ვართიანებს მრავალი ზენ-ჩვეულება, ტრადიცია და გარეგ-
ნობა. მწარე ისტორიული გამოცდილება, რომ დაშლილი კავკასია ადვილი მსხვერპლი იყო ყო-
ველი ჯურის იმპერიალისტების. წარსულ შეცდომებზე დაფიქრება და მათი გამოსწორება ყოფ-
ელი კავკასიელის მოვალეობაა. უდავლოდ არ იქნება ვაგინსენით აზერბაიჯანის ყოფილ პრეზი-
დენტის—რასულ ზადეს სიტყვა წარმოთქმული 1938 წელს.

... აზერბაიჯანის კავკასიელი მოკავშირენი არიან ქართველები, ეს პოლიტიკურად მწიფე ქე-
ყვანია, თავისი ძველი ტულტრით, რომელმაც რუსთაველის სახითმსოფლიო ლიტერატურა დაიდა
შემატა. ჩრდილო კავკასიელები, რომელთა ერთგული ვიბრი იმამ შამილი, თავისი გმირული წი-
ნააღმდეგობით რუსულ მხედრობას, კავკასიაში, ოცდაათ წელზე მეტი გაუმკლავდა. ეს სამი დი-
დი კავკასიის ერი, თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ერთმანეთთან არიან შეფიქული



და 1934 წლის, ბრიუსელში დადებულ კონფერენციის პაქტით ერმანეთის მოკავშირენია. მეოთხე კავკასიელი ერია სომხები, რომელიც ჯერჯერბით კიდევ განზე დგას. მისთვის ამ პაქტში აღწერილი შემოინახულია და მას ეს აღვლილი ზოველ წუთში შეუძლია დაიკაოს. ზემოთ ჩამოთვლილი კავკასიელი ერები დარწმუნებული არიან, რომ მათი მომავალი კეთილდღეობა დამოკიდებულია კონფერენციის იდეის განხორციელებაზე...“

მეორე მსოფლიო ომის დროს, უძნელეს პირობებში, კავკასიელთა საბჭო ერთსულოვნად გამოდიოდა კავკასიის ინტერესების დასაცავად, სომხების აქტიური მიზანწილობით. ამან უმეტეს შემთხვევებში სასურველი შედეგი მოიტანა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ასეთი განწყობილებადამკვიდრდება დღევანდელ და მომდევნო თაობათა შორის, აქედ და კავკასიაშიც, რაც მათ ძლიერ პოზიციას შეუქმნის.

ჩემის აზრით, ეს არის ანდერძი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მებრძოლმა კავკასიელებმა დაგვიტოვეს.

გივი გაბლიანი .

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ვ ი ა

Lenin A Contemporary Portrait By Victor Chernov. Foreign Affairs March 1924.

Der Spiegel N.6 April 1970 West Germany

D. M. Lang. Modern History of Soviet Georgia. p.p. 247-251.

Alexander Werth. „Russia at War“ 1941-1945. N. G. E. P. D- COMP. inc. 1964

Wallase Carrol. „Life“ Decemb. 1949

General Ernst Kostring. Verlag E. S. Mittler und Sohn. Frankfurt/Main.

Stauffenberg Joachim Kramarz. The Mac Mil. Comp. New-Jork. p.p. 9) -99

German Rull in Russia by Alexander Dallin. Mc. Mill. comp. N. Jork p. 241

Thorwald. Wen sie Verderben Wollen. Steinguber Verlag. Stuttgart.

Joachim Hoffman. Die Ostlegionen 1941-1943. Verlag Rombach. Freiburg

M. E. Rezul Zade Das Problem Aserbaischan. Verlag der Zeitschrift „Kurtulushch“ . Berlin-Charlottenburg 1938.

Julius Epstein. Operaciov, Keelhaul. The Devin-Adair comp. Old Greenwich.

Herman Raschofer. Political Assasination. Mc. Mi. Published by F. Schlichtenmayer. Tubingen.

Patrik Von zur Muhlen. Zwischen Hakenkreuz und Sowietstern. Droste Verlag. Dusseldorf. W. Germany.

Michael Von Tseretheli. Das Neue Georgien. Eine Denkschrift . Nebst einem Anhang: Auszuge aus den Reichstagsitzungen Vom 24 und 25 Juni 1918. Communist Takeiver And Occupation of Georgia. Special Report of the Select Committee on Communist Agression. Haus of Representatives.

Eighty Third Congress Second Session un. autotity of H. R. 346 and 438.

The Nat. Geogr. Magazin. Vol. XXXIV N. 4 October 1918. Russian Orphan.

By Maynard Owen Williams.

The Military History of World War II. Volumes 15. By Trevor N. Dupuy.

Dean Achenson. Secr. St. U. S. A. Statement For The Opening of The Georgian Broadcasts May 26 1951.

The Watkins Amandement to the Mc Carren Walter act on Immigration and Naturalization Passed by The U, S, Senate 1956.

Bukovski-Maximov. Deklaration on National Rigt. 22.11.78.

Heinz Holne Camaris. C. Berstelsman Verlag.

Prof. Dr. Th. Oberlander. Geschichte der Einheit „Bergman“.

გარდა ამისა, ჩვენთან ინახება შემდეგი დოკუმენტები, რომელთა გამოკვეყნებაც მომავალშია განზრახული: მოხალისეთა წერილი- მიმართვა მ. კელიასადმი; დოცის ქვეშ მიცემული, მ. კელიას ოფიციალური ჩვენება-ნოტარიუსის ბეჭდით; მისივე მემორანდუმი ამერიკელთა მიმართ; ნ. ეორდანიას და ე. ბეგეჭკორის წერილები მ. კელიას მიმართ; ქარ. ერ. ეთ. თაობირის ოქმი . პარიზი 27. 10. 43.; წერილი პარიზის მთავარი რაბინის ეელისისა; კაბ. კობიაშვილის მოხსენება 1946 წლის სექტემბერი; მიწერმოწერა ტპორვალთან წიგნი „ილუზიონის“ გამო 1975; წერილები: გენ. პაიგენდორფის 1951წ. და გენ. კოესტრინგის 1944წ.; მოხსენებები მოხალისე ნაწილთა შესახებ; პრუფ. მენდეს წერილი 1950 წლისა გენერალ პაიგენდორფისადმი ქართულ ბატალიონთა შესახებ.

ჟურნალის ფონდი.

ფრანგული ფრანკები: გივი გაბლიანი 1745, გივი ზალდასტანიშვილი 425;
სანდრო ბარათელი 250. ნიკო თოფურია 132. არჩილ მკჟაღლიშვილი 100.

უფროსი მადლობა რედაქციისათვის.

DIRECTEUR O.PATARIDZE.

ADRESSE D'EDITEUR : MICHEL KAVTARADZE 61 CHEM. DE TABOR 91310 LINAS/ TEL.901 47 81

HORS COMMERCE

IMPRIME PAR NOS PROPRES MOYENS

სარედაქციო კოლეგია: გივი გაბლიანი • გივი ზალდასტანიშვილი • შალვა კალანდაძე • გულნარა პატარიძე ურატაძისა • მინერა ქავთარაძე (ტექსტის და გამოყვების რედაქტორი)

